

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 თებერვლის №247/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს „iTWISTER“ უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „უნილევერ ნ.ვ.“ (ვეენა 455, NL-3013 AL როტერდამი) სახელზე საქპატენტში რეგისტრირებული ნიშნისა “TWISTER” (რეგ. თარ. 12/07/1999 წ. რეგისტრაციის №12534) 30-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული ნიშანი შედგება 8 ასოსაგან, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი შვიდი ასოსაგან. დაპირისპირებული ნიშნის შვიდივე ასო იდენტურია განცხადებული ნიშნის ბოლო შვიდი ასოსი. შესაბამისად, განცხადებულ ნიშანში სიტყვის თავში დატანილი პატარა ლათინური ასო „i“ არ ანიჭებს ნიშნებს განმასხვავებლობას, ვინაიდან ნიშნებს აქვთ აღრევაძვე მსგავსი უღერადობა, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „კენტუკი ფრაიდ ჩიკენ ინტერნეშენელ ჰოლდინგზ, ინკ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო აღრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი-იდენტურია ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“. აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ნიშნები მსგავსია აღრევის დონემდე, ვინაიდან ნიშნებს შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ასევე ფონეტიკური და სემანტიკური სხვაობა. განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ანალიზისას ირკვევა, რომ როგორც განცხადებული, ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული შრიფტით. მიუხედავად ამისა, გაცხადებული

სასაქონლო ნიშანი შედგება რვა ასოსგან და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისგან განსხვავდება პირველი ასოთი, რომელზეც მახვილდება მომხმარებლის ყურადღება და რომელიც შესრულებულია ლათინური პატარა ასოთი. აპელანტის მითითებით, განსხვავდება სიტყვების სემანტიკაც, რადგან სიტყვას „TWISTER“ გააჩნია მნიშვნელობა და ის ითარგმნება როგორც “ტვისტის მოცეკვავე”, “ქარბორბალა”, “მატყუარა”, განცხადებული ნიშანი კი ფანტაზიურია და მას სემანტიკური მნიშვნელობა არ გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე ნიშნებს შორის არსებობს ფონეტიკური (ტვისტერ-აიტვისტერ), ვიზუალური და სემანტიკური სხვაობა. რაც შეეხება საქონლის ჩამონათვალს ის იმდენად განსხვავდება, რომ მისი ერთმანეთში აღრევა შეუძლებელია. კერძოდ დაპირისპირებული ნიშნის 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალში მითითებულია: “საკვები ყინული”, მაშინ როდესაც განცხადებული სასაქონლო ნიშანი მოითხოვს დარეგისტრირებას 30-ე კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვლისათვის: “პური პიტა, რომლის შიგთავსს წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე ქვემოჩამოთვლილი ინგრედიენტი: ქათმის ხორცი, (მომზადებული, მზეზე გამოყვანილი, შებოლილი), თევზი და/ან სოუსები, პროდუქტი განკუთვნილია საზოგადოებრივი კვების ადგილებში საჭმელად ან გასატანად”. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქართველოში სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე კლასებში შემავალი მსგავსი საქონლისათვის იყო რეგისტრირებული და დღემდე თანაარსებობენ ისეთი სასაქონლო ნიშნები, რომლებიც განსხვავდება ერთი ასოთი. მაგალითად: SOLIAN (IR 483004) – JOLIAN (IR 1018138); СОЛИАН (IR 844266) – ЫОЛИАН (IR 1014135); PROACTIV (მოწ. №22863) – PROACTIN (მოწ. № 14294) და ა.შ. აპელანტის მითითებით, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანის „Unilever N.V.” თანხმობის წერილი კომპანიის „Kentucky Fried Chicken International Holdings, Inc.” სახელზე სასაქონლო ნიშნის „iTWISTER” რეგისტრაციის შესახებ 30-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ. აპელანტის მითითებით, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის ასევე, კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ნიშნების თანაარსებობის შესახებ მსოფლიოს მასშტაბით.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიიჩნია, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას, ვიზუალურ, ფონეტიკურ და სემანტიკურ მსგავსებასთან ერთად, წარმოადგენს ნიშნების იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები. ნიშნებს შორის მხოლოდ ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსება არ არის საკმარისი ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველის არსებობისათვის, რადგან კანონის ზემოაღნიშნული ნორმა სავალდებულოდ მიიჩნევს განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის მსგავსებას. იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი სხვადასხვაა, ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქციის მხოლოდ ერთი და იმავე კლასში, კერძოდ 30-ე კლასში არსებობა, თავისთავად არ გულისხმობს საქონლის მსგავსებას. კოლეგიას მიიჩნია, რომ მართალია განცხადებული სასაქონლო ნიშანი „iTWISTER“ (საიდ. №73104/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი "TWISTER" (რეგ. №12534) მსგავსია ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით, მაგრამ

იმდენად განსხვავებულია აღნიშნული ნიშნებით ნიშანდებული 30-ე კლასის საქონელი, რომ არ მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. კერძოდ, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 30-ე კლასის შემდეგი საქონლის მიმართ: „საკვები ყინული“, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება 30-ე კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „პური პიტა, რომლის შიგთავსს წარმოადგენს ერთი ან რამოდენიმე ქვემოჩამოთვლილი ინგრედიენტი: ქათმის ხორცი (მომზადებული, მზეხე გამოყვანილი, შებოლილი), თევზი და/ან სოუსები, პროდუქტი განკუთვნილია საზოგადოებრივი კვების ადგილებში საჭმელად ან გასატანად“. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი იმდენად განსხვავებულია მათი ბუნებით, ხასიათით და დანიშნულებით, რომ არ მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. კერძოდ საკვები ყინული გამოიყენება კვების პროდუქტების ან სასმელების გასაგრილებლად. ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებულ პროდუქციას წარმოადგენს პური პიტა, რომელიც გამოიყენება უშუალოდ კვებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „TWISTER“ (საიდ. №73104/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „კენტუკი ფრაიდ ჩიკენ ინტერნეშენელ ჰოლდინგზ, ინკ“-ის (Kentucky Fried Chicken International Holdings, Inc.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 თებერვლის №247/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „iTWISTER“ (საიდ. №73104/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

ბ. დუდუჩავა

ს. ებრაელიძე